



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

მიმოხილვა

ზურაბ ბატიაშვილი

ახალი კორონავირუსის გავრცელება ახლო აღმოსავლეთში - პრობლემები და
გამოწვევები

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობათა
კვლევის ფონდი 2020

ახალმა კორონავირუსმა (Covid-19) და მისით გამოწვეულმა გვერდითმა ეფექტებმა სრულიად შეცვალა თანამედროვე მსოფლიო. რადგან პანდემიის პროცესი მხოლოდ ახლა იწყება, ზუსტად არავინ იცის, თუ როგორი იქნება ვირუსის შემდგომი მსოფლიო. თუმცა, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იქნება სერიოზული ცვლილებები, რის შემდეგაც ჩვენი პლანეტა აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორც ვირუსის გავრცელებამდე იყო.


ბუნებრივია, ეს ცვლილებები ახლო აღმოსავლეთსაც ეხება. როგორც სხვა ქვეყნების უმრავლესობა, ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებიც ძირითადად მოუმზადებლები შეხვდნენ პანდემიას. ამ მთავრობების უმეტესობამ ჩინეთში ვირუსის გავრცელების ეტაპზე სერიოზულად არ ან ვერ აღიქვა მოსალოდნელი საფრთხეები. ამიტომ პირველ ეტაპზე ბევრმა მათგანმა უბრალოდ დამალა ან წაუყრუა საკუთარ ქვეყნებში ვირუსის გავრცელების ფაქტს.

ოდნავ მოგვიანებით ხელისუფლებებს მოუწიათ პრობლემის აღიარება, მაგრამ ვირუსის შექმნა/გავრცელებაში ძირითადად პოლიტიკური მოწინააღმდეგეები დაადანაშაულეს. ასეთ დამოკიდებულებას კი ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებებსა და მთავრობებში პოპულარულია შეთქმულების თეორიები.

პრობლემის დამალვა/წაყრუებამ შემდგომში ბუმერანგის ეფექტი გამოიწვია ამ ქვეყნებისა და მათი მოქალაქეებისთვის. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხელისუფლებების უმეტესობა რადიკალურ ზომებზეც (დახურეს სამლოცველოები, სადაც ხდებოდა მასობრივი თავშეყრები) წავიდნენ. თუმცა, ბევრ შემთხვევაში, ეს ნაბიჯები უკვე დაგვიანებული იყო – კორონავირუსი გავრცელდა მთელ ახლო აღმოსავლეთში.

ამასთან, ახლო აღმოსავლეთში ვირუსის გავრცელებას ხელს უწყობს ჯანდაცვის სისტემების გაუმართაობა, ექიმთა ნაკლებობა, განათლების დაბალი დონე, დაუსრულებელი სამოქალაქო ომები, კონფლიქტები და ლტოლვილთა დიდი რაოდენობა, ასევე ხელისუფლებების სურვილი, მაქსიმალურად დამალონ რეალური მონაცემები (მაგალითად, სირიის ოფიციალური მონაცემებით, ამ ქვეყანაში 25 მარტამდე დაფიქსირებული იყო ახალი კორონავირუსით დაინფიცირების მხოლოდ 1 შემთხვევა, მაშინ, როცა ამ ავადმყოფობასთან საბრძოლველად ასადის რეჟიმმა დედაქალაქ დამასკოში კომენდანტის საათი შემოიღო. დამოუკიდებელი წყაროების ინფორმაციით, ახალი კორონავირუსი მთელ სირიაშია მოდებული და არის მსხვერპლიც).

ამასთან, ახლო აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანას არც საკმარისი რაოდენობის ტექნიკური აღჭურვილობა გააჩნია, რათა ანალიზი ჩატარონ და სრულყოფილად აღრიცხონ ვირუსით დაავადებული ადამიანები.



Coronavirus cases in The Middle East

Region	Country	17-Mar	23-Mar	24-Mar	25-Mar
	Lebanon		256	304	333
	Israel		1238	1656	2369
	Turkey		1236	1529	2433
	Jordan		112	127	172
	Palestinian Authority			60	71
	Syria		1	1	5
	Iraq		233	316	349
	Iran		23049	24811	27017
North Africa	Morocco		122	143	225
	Libya		0	0	1
	Algeria		201	230	302
	Tunisia		75	114	173
	Egypt		327	366	456
The Gulf	UAE	98	153	198	333
	Saudi Arabia	171	511	767	900
	Bahrain	241	337	390	419
	Kuwait	130	189	191	195
	Qatar	442	494	501	537
	Oman	24	66	84	99
	Yemen		0	0	

კორონავირუსის შემთხვევები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკის ბევრი სექტორის გაჩერებამ, ასევე რუსეთ-საუდის არაბეთის დაპირისპირებამ ბუნებრივ რესურსებზე (უმეტესად – ნავთობზე) ფასების დაცემა გამოიწვია. ნავთობი კი ბევრი ახლოაღმოსავლური ქვეყნისთვის შემოსავლის ძირითადი წყაროა.

ირანი

ირანი იყო პირველი ახლო აღმოსავლეთის ქვეყანა, სადაც ვირუსი ჯერ კიდევ იანვარშივე გავრცელდა, თებერვალში კი ეს ქვეყანა ეპიდემიის ძლიერ კერად იქცა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ თეირანმა ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებების (ისედაც ძლიერი ამერიკული სანქციები) გამო არ შეწყვიტა ფრენები ჩინეთის მიმართულებით.

ასეთი მიდგომის გამო სავალალო შედეგმაც არ დააყოვნა - ვირუსმა მთელ ქვეყანაში იფეთქა. ირანი ახლო აღმოსავლეთში დღემდე რჩება იმ ქვეყნად, სადაც ყველაზე მეტადაა გავრცელებული ეს ავადმყოფობა. 25 მარტის მდგომარეობით, ირანის ოფიციალური მონაცემებით, ამ ქვეყანაში ახალი კორონავირუსით გარდაიცვალა 2 206, ხოლო დაინფიცირებულია 27 000-ზე მეტი ადამიანი. ამასთან, ჯერჯერობით, როგორც ჩანს, მათ ჯერ კიდევ არ გადაულახავთ პიკი.



საინტერესოა, რომ პანდემიის ეპიცენტრი გახდა ამ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე რელიგიური ქალაქი ყუმი, სადაც ბევრი შიიტური სიწმინდეა და სადაც ტრადიციულად ბევრი მომლოცველი იყრის თავს. ქვეყანაში ვირუსის გავრცელების პარალელურად, ირანი თავად იქცა მეზობელი ქვეყნების დაინფიცირების წყაროდ.

ირანში ვირუსის გავრცელების შემდეგ მეზობელმა ქვეყნებმა მასთან როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო მიმოსვლა შეაჩერეს, რაც მძიმე ტვირთად დააწვა ისედაც

სერიოზული პრობლემების მქონე ირანის ეკონომიკას(ამერიკული სანქციების გამო 9,5%-ით შემცირდა მისი ეკონომიკა 2019 წელს). კიდევ უფრო გაიზარდა უმუშევრობა.

თეირანისთვის კიდევ ერთი უარყოფითი შედეგი ნავთობზე ფასების შემცირებაა. მისი ბიუჯეტი გათვლილი იყო ბარელზე 50 აშშ დოლარის შესაბამისად. 25 მარტის მდგომარეობით, მსოფლიო ბაზარზე 1 ბარელი ნავთობის ფასი 23,4 აშშ დოლარი იყო. ასეთი ფასების ფონზე მოსალოდნელია, რომ ირანის ბიუჯეტს 22%-იანი სეკვესტრი მოუწევს. ეს კი მზარდ უმუშევრობას, ინფლაციის მატებას, მილიონობით მოქალაქისთვის გადაუხდელ ხელფასებსა და შემცირებულ სოციალურ დახმარებებს ნიშნავს.

მძიმე მდგომარეობაში მყოფმა ირანმა აშშ-სგან სანქციების გაუქმება და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან 5 მლრდ აშშ დოლარის სესხის მიღებაც მოითხოვა. თუმცა, უშედეგოდ - ვაშინგტონი არ აპირებს მცირედ დათმობასაც კი. პირიქით, ვაშინგტონმა მარტში ახალი სანქციებიც კი შემოიღო თეირანის წინააღმდეგ. მისი მიზანია ირანის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომ ამ უკანასკნელმა უარი თქვას ბირთვულ და ბალისტიკურ პროგრამებზე. ტრამპის ადმინისტრაციის უფრო რადიკალური ჯგუფი კი იმედოვნებს, რომ ამ ყველაფერს ირანში არეულობები და რეჟიმის სრული კოლაფსი მოჰყვება.

ამიტომ მოსალოდნელია, რომ ირანში კიდევ უფრო გაუარესდება ისედაც მძიმე ეპიდემიური, სოციალ-ეკონომიკური და სავარაუდოდ, პოლიტიკური სიტუაციაც.

თურქეთი

მართალია, თურქეთმა სწრაფად შეწყვიტა მიმოსვლა ჩინეთთან და ირანთან, მოგვიანებით კი იტალიასთან და ევროპის სხვა ქვეყნებთანაც, მაგრამ მარტში გეომეტრიულად დაიწყო ქვეყანაში ახალი კორონავირუსით დაავადებულთა რაოდენობის ზრდა. 25 მარტის მონაცემებით, თურქეთში ამ ავადმყოფობით გარდაიცვალა 59, ხოლო დაავადებული იყო 2433 ადამიანი.

ვირუსის გავრცელება უარყოფითად აისახა თურქეთის ეკონომიკაზე: დაახლოებით 10%-ით გაუფასურდა თურქული ლირა, შეწყდა უცხოელ ტურისტთა ნაკადი (ტურიზმის სექტორი შეადგენს თურქეთის ეკონომიკის 12%-ს და მასში დასაქმებულია 1,2 მილიონ ადამიანზე მეტი), ფაქტიურად გაჩერდა ტრანსპორტის სექტორი (ეს განსაკუთრებით დაეტყო სტამბოლს, რომელიც დიდი საერთაშორისო სატრანსპორტო და სავაჭრო ჰაბია), მუშაობა შეაჩერა ბევრმა ქარხანამ და ფაბრიკამ, მსოფლიო ბაზარზე არასასურსათო პროდუქციაზე მოთხოვნილების შემცირების პარალელურად კი იკლო თურქული პროდუქციის ექსპორტმა. შესაბამისად,

გაიზარდა უმუშევრობა, რაც ახალი კორონავირუსის გავრცელებამდეც მაღალი (13,7%) იყო. მოსალოდნელია, ინფლაციის ზრდა და ლირის შემდგომი დევალვაცია.



თურქეთის ხელისუფლებამ ეკონომიკის დახმარების (100 მლრდ თურქული ლირა, რაც დაახლოებით 15,5 მლრდ აშშ დოლარია) პაკეტი გამოაცხადა. თუმცა, ჩანს, რომ მხოლოდ ერთი პაკეტი ვერ იქნება საკმარისი მომავალი დანაკარგების შესავსებად. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს (WTTC) განცხადებით, ტურიზმს პანდემიამდე დონის აღსადგენად 19 თვე დასჭირდება.

თურქეთმა სახმელეთო საზღვრები ჩაკეტა მეზობლებთან (მათ შორის საქართველოსთანაც). მართალია, სატვირთო მანქანები მოძრაობას განაგრძობენ, მაგრამ რიგითი მოქალაქეები თავისუფლად ვეღარ გადაადგილდებიან, რამაც დამატებითი ეკონომიკური პრობლემები შექმნა.

თურქეთისთვის ერთადერთი პოზიტივი, რაც კორონავირუსით გამოწვეულმა გვერდითმა ეფექტებმა მოიტანა, მსოფლიო ბაზარზე საწვავზე ფასების შემცირებაა. ამან ბუნებრივია, შეამცირა ბენზინის ფასი თურქეთის რიგითი მოქალაქეებისთვის.

საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები

კორონავირუსმა და მისმა გვერდითმა ეფექტებმა შეამცირა მოთხოვნა ნავთობზე მთელ მსოფლიოში, რასაც დაემატა საუდის არაბეთისა და რუსეთს შორის დაპირისპირება. შედეგად, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასმა სწრაფი კლება დაიწყო (ასეთი დაბალი ფასები ნავთობზე 2003 წლის შემდეგ აღარ ყოფილა).

ამის მიუხედავად, საუდის არაბეთი აპირებს ბოლომდე იბრძოლოს რუსეთთან ნავთობის გამო, რადგან ეს მას გრძელვადიან პრობლემებს ვერ შეუქმნის - საუდელებს 1 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების სავალუტო რეზერვები აქვთ და ამის გამო თავს მშვიდად გრძნობენ.

თუმცა, მოკლევადიანი პრობლემები საუდის არაბეთსა და სპარსეთის ყურის სხვა არაბულ ქვეყნებს მაინც შეექმნათ – საზღვრების ჩაკეტვის გამო თავისუფლად ვეღარ მოძრაობს მათი ეკონომიკებისთვის საჭირო იაფი უცხოური მუშახელი, ასევე მიმოსვლის შეჩერებისა და საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობების გაუქმების გამო ფაქტობრივად უფუნქციოდ დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო და სავაჭრო ჰაბები, როგორებიცაა დუბაი, აბუ-დაბი და დოჰა.



ახალი კორონავირუსის გამო საუდის არაბეთს მოუწია მუსლიმთა წმინდა ადგილების (მეკა და მედინა) დახურვაც, რაც მილიარდობით აშშ დოლარის შემოსავლის გარდა, საუდელებისთვის ე.წ. „რბილი ძალის“ მნიშვნელოვანი ნაწილიცაა. აქ კი ის ფაქტორიც გასათვალისწინებელია, რომ ეს ადგილები არ დაუხურავს წინა მმართველ ჰაშიმიტების დინასტიას 1918-1919 წლებშიც კი, როდესაც ე.წ. „ესპანური გრიპი“ მძვინვარებდა. ამიტომ საუდელებისთვისაც მნიშვნელოვანია პანდემიის დროზე დასრულება.

ახალი კორონავირუსის გავრცელებას განსაკუთრებით უფრთხის ეგვიპტის ხელისუფლება. 102-მილიონიანი ეგვიპტე, არა მხოლოდ მოსახლეობის

თვალსაზრისითაა ყველაზე დიდი ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში, არამედ იგი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიაა. ეს კი დამატებითი ხელშემწყობი ფაქტორია ვირუსის გასავრცელებლად.

კონფლიქტური ქვეყნები და ტერიტორიები

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტურ ქვეყნებსა და ტერიტორიებზე შექმნილია იდეალურ პირობები ვირუსის გავრცელებისთვის.

აქ პანდემიის ბუნებრივი მოკავშირეა ლტოლვილთა ბანაკები, სამხედრო ნაწილები, განათლების დაბალი დონე, საავადმყოფოებისა და ჰიგიენური პირობების არარსებობა, ექიმთა ნაკლებობა და ა.შ.

სამწუხაროდ, ვირუსის გავრცელების გამო არ შეჩერებულა კონფლიქტები სირიასა და ერაყში.

სამაგიეროდ, გარკვეული იმედი ჩაისახა იემენტან დაკავშირებით, რადგან საუდის არაბეთი და გაერთიანებული არაბული საემიროები 26 მარტს დათანხმდნენ გაეროს მოწოდებას, კორონავირუსის გავრცელების გამო შეეწყვიტათ საბრძოლო მოქმედებები იემენის ტერიტორიაზე.

კიდევ ერთი ადგილი, სადაც მხარეებმა ახალ კორონავირუსთან ერთობლივი ბრძოლა გადაწყვიტეს, ისრაელი-პალესტინაა, რომლებმაც ამ მიზნით რამდენიმე ორმხრივი შეხვედრა გამართეს და ერთობლივი ზომების გატარებაზეც შეთანხმდნენ.

დასკვნები:

- ახალი კორონავირუსის გავრცელება უარყოფითად აისახა მთელ მსოფლიოზე და, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთზეც;
- როგორც მთელ მსოფლიოში, ახლო აღმოსავლეთშიც მოსალოდნელია ცვლილებები. თუმცა, პანდემია ჯერ მხოლოდ ახლა იკრებს ძალებს. არავინ იცის, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება და რა შედეგებით დასრულდება იგი. შესაბამისად, ჯერ არ გამოკვეთილა მკაფიო კონტურები, თუ რა სახის ცვლილებებს უნდა ველოდოთ ახლო აღმოსავლეთში;
- ახლო აღმოსავლეთში პანდემიით გამოწვეულმა შიშმა შეანელა ზოგიერთი კონფლიქტი. თუმცა, არსებული კონფლიქტების ნაწილი კვლავ გრძელდება;
- პანდემიით გამოწვეული ადამიანური დანაკარგების გარდა, სერიოზულად დაზარალდა და მომავალშიც დაზარალდება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების

ეკონომიკები, რასაც, დიდი ალბათობით, შემდგომში პოლიტიკური შედეგებიც მოჰყვება;

- პანდემიის გამო მსოფლიო ბაზარზე შემცირდა მოთხოვნა ნავთობზე, რასაც დაემატა რუსეთ-საუდის არაბეთის დაპირისპირება. ამ ფაქტორებმა კი, თავის მხრივ, ნავთობზე ფასის შემცირება განაპირობეს. შედეგად, ახალი პრობლემები და გამოწვევები შეექმნათ პატარა და სუსტ/ღარიბ ქვეყნებს. ამ ეტაპზე მდიდარი ქვეყნები, დაგროვილი ფულადი რესურსების გამო, ნაკლებად უფრთხიან იაფ ნავთობს;
- საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ როგორი სურათი იქნება თურქეთის ეკონომიკაში, რადგან ეს ქვეყანა ჩვენთვის ნომერი პირველი სავაჭრო პარტნიორია. ამასთან, ათეულ ათასობით ჩვენი მოქალაქე მუშაობს იქ. თურქეთში ვირუსის გავრცელების შემთხვევაში შესაძლოა მივიღოთ არა მხოლოდ ახალი კორონა ვირუსით დაავადებული ჩვენი მოქალაქეები, არამედ სერიოზული პრობლემები შეექმნება თურქეთის ეკონომიკასაც, რაც საფრთხეს შეუქმნის როგორც ჩვენი მოქალაქეების სამუშაო ადგილებს, ისე უარყოფითად აისახება ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებზე და ქართული ლარის კურსზეც.